

შპს „ბესთ გრუპი“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს "ბესთ გრუპი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
				ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1458	11828	49692	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	875320	686029	305142	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	12846	9418	4281	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	477641	464256	184944	
მ.შ. - მზა პროდუქცია	477641	463193		
- სხვა		1063	184944	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5882	10349	1758	3.2
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	2478	854	1016	
ძირითადი საშუალებები	220516	298071	343332	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1596141	1480805	890165	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	2280			
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	1386655	994099	666151	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	98403	49027	34421	3.4
საგადასახადო ვალდებულებები	100249	30302	11467	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	5198	2164	1308	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	546302	64027	93921	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	193621	688055	387969	3.5
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები			170	
სულ ვალდებულებები	2332708	1827674	1195407	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1100	1100	1100	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-737667	-347969	-306342	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	-736567	-346869	-305242	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1596141	1480805	890165	
სულ მოკლევადიანი აქტივები	1373147	1181880	545817	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2139087	1139619	807438	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2024 წ.				
დირექტორი: _____ დათა ქარდავა				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ბესი გრუპი"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2023	2022	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	7211214	4833122	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	5959391	4749100	
- მომსახურების გაწევიდან	1251823	84022	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-4945615	-3344236	
საერთო მოგება	2265599	1488886	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1590958	-843891	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-23790	-22527	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-75165	-32719	
ოჯარის ხარჯი	-71716	-36621	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1123167	-638588	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-2884796	-1574346	
საოპერაციო მოგება	-619197	-85460	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	1283	31793	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	224544	12040	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-393370	-41627	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-393370	-41627	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-393370	-41627	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-346869	-305242	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	3672		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-736567	-346869	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2024 წ.			
დირექტორი: _____	დათა ქარდავა		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ბესტ გრუპი"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-92769	-280811
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	168441	-30485
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-86029	273432
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-10357	-37864
სავალუტო კურსის ეფექტი	-13	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	11828	49692
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1458	11828
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2024 წ.		
დირექტორი: _____	დათა ქარდავა	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ბესთ გრუპი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 10 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერია B17004257. მისი საიდენტიფიკაციო კოდია – 400152703, იურიდიული მისამართი – საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თემქა, IX კვ., კორპ. 17, ბ.39 .

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2015 წლის 10 სექტემბერს.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია დათა ქარდავა (პ/ნ 62001034867).

1.3. კომპანიის დირექტორია დათა ქარდავა (პ/ნ 62001034867).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა საკვები პროდუქტებით.

1.5. კომპანიას ფილიალები არ აქვს. ასევე, კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი ან მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 01.01.2020 წ., თუმცა 2020 წლის გადაანგარიშება მოხდა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენისას. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8

ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი

განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საბანკო ანგარიშებზე (ვინაიდან ნაღდი ანგარიშსწორება არ წარმოებს).

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები – 25 წელი;

მანქანა-დანადგარები – 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა – 4-5 წელი;

ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა – 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები – 5-10 წელი;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები – 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზატორი პირები).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2023 წელს: 1 USD=2.6279 ლარი; 1 EUR=2.8416 ლარი.

2022 წელს: 1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში		3942	47039
ლარი საბანკო ანგარიშებზე	1458	7886	2653
სულ:	1458	11828	49692

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრები შედგებოდა მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე არსებული ლარებისაგან. კომპანიას ემსახურება ორი ბანკი: „თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“.

3.2. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიის სხვა მოკლევადიანი აქტივები შედგება:

საპენსიო სააგენტოსთან ანგარიშსწორებანი – 5882 ლარი;

3.3. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2022 მდგომარეობით
მიწა	96037	96037					
შენობა-ნაგებობები	79138	-151952	10128	241218	-65363	0	306581
მანქანა-დანადგარები	0	0	0	0	0	0	0
კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	5092	0	1669	6761	5270	1022	2513
ავტოტრანსპორტი	28289	0	10214	38503	22339	8808	24972
სხვა ძირითადი საშუალებები	11960	2079	1708	11589	2876	553	9266
სულ:	220516	-53836	23719	298071	-34878	10383	343332

კომპანიამ შეისყიდა საოფისე ფართი თბილისში, ნ. ბოხუას ქუჩაზე, 2021 წლის ბოლოს (დეკემბერში). ამ ფართის ნაწილი გასხვისდა 2023 წელს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა 2023 წლის ბოლოს შეადგენდა 72952 ლარს.

3.4. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ:

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიის ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ შედგება „დაგროვებითი საპენსიო სქემაში ჩართული პირების სავალდებულო სადაზღვევო შენატანებისაგან“, რომელიც გადასახდელი იყო წლის ბოლოსათვის და შეადგენდა 98403 ლარს.

3.5. მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხები სახსრები:

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ნასესხები სახსრები სრულად შედგებოდა „თიბისი ბანკი“-სგან მიღებული სესხებისგან ლარებში:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სს თიბისი ბანკი სესხი ხელშეკრულება N 7345970-11259165	51025
სს თიბისი ბანკი სესხი ხელშეკრულება N 7345970-11388612	9893
სს თიბისი ბანკი სესხი ხელშეკრულება N 7345970-12426860	107359
სს თიბისი ბანკი სესხი ხელშეკრულება N 7345970-12709551	69933
სს თიბისი ბანკის სესხი ხელშეკრულება N 7345970-12904979	108092.69
სს თბს ბანკი სესხი ხელშეკრულება N 7345970-12957420	200000
სულ:	546302

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიის გრძელვადიან ნასესხებ სახსრებს სრულად შეადგენდა „თიბისი ბანკი“-სგან აშშ დოლარში მიღებულ სესხი:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
თიბისი ბანკის ბიზნეს სესხი ხელშეკრულება N7345970-11706576	193621
სულ:	193621

სესხი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალუტაში შეადგენდა 71994 აშშ დოლარს.

სესხების უზრუნველყოფაში ჩადებულია კუთვნილი ფართი ქ. თბილისში, ბოხუას ქუჩაზე.

3.6. ნეტო ამონაგები:

	2023 წელი	2022 წელი
საქონლის გაყიდვიდან	5959391.00	4749100
მომსახურების გაწევიდან	1251823	84022
სულ:	7211214	4833122

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა იჯარისა, შრომის ანაზღაურებისა, ცვეთისა და ამორტიზაციისა):

	2023 წელი
მარკეტინგული ხარჯები	(813,873)
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები	(90)
მივლინებების ხარჯები (კომერციული)	(260)
საღარიბე აპარატებთან დაკავშირებული ხარჯები	(1,677)
ელექტროენერგიის ხარჯები	(2,096)
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	(3,137)
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	(2,182)
საკანცელარიო ხარჯები	(2,168)
კომპიუტერის ხარჯები	(4,789)
კომუნიკაციის ხარჯები	(12,544)
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(233,169)
საკონსულტაციო და საბუღალტრო მომსახურების ხარჯები	(1,767)
სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო	(593)
გადახდილი მოსაკრებლები	(1,222)
საგადასახადო ხარჯები	(2,872)
საბანკო ხარჯები	(12,766)
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (გარდა	(1,328)
ავტომანქანების რემონტის ხარჯები	(12,447)
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	(9,284)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(815)
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	(3,661)
სხვა საერთო-ადმ. ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვითება	(427)
სულ:	-1123167

3.8. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები (საკუროსო სხვაობების გარდა):

	2023 წელი
არასაოპერაციო მოგება მს და არ. აქტ. რეალიზაციიდან	73 944
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5
ინვენტარიზაციით გამოვლენილი ზედმეტობა	10 396
ნაჩუქარი ქონება და სხვა სარგებელი	157 136
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	(4 971)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(11 966)
სულ:	224544

3.9. საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი

კომპანიას როგორც 2022, ასევე 2023 წლებში მიღებული აქვს ზარალი. შესაბამისად, დამფუძნებელზე დივიდენდები არ გაცემულა.

3.10. სასამართლო დავები

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 28 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.